

ბატონო/ქალბატონო,

მოგესალმებით,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია: იმ პირთა რაოდენობა, რომელთა საშუალოთვიური დასაბეგრი ხელფასი 01.01.2018-დან 31.12.2018 -ის ჩათვლით პერიოდზე არის:

1. 125.5 ლარზე ნაკლები;
2. 1 125.5 ლარზე მეტი;
3. ასევე, ანალოგიური ინფორმაცია შემდეგი კატეგორიებისათვის:
4. 0-დან 500 ლარის ჩათვლით;
5. 500 ლარიდან 1 000 ლარის ჩათვლით;
6. 1 000 ლარიდან 2 000 ლარის ჩათვლით;
7. 2 000 ლარიდან 5 000 ლარის ჩათვლით;
8. 5 000 ლარზე მეტი/

დუბლირების თავიდან ასარიდებლად, თითოეულ კატეგორიაში შემდეგი პრინციპის დაცვით - ქვედა ზღვარი არ ჩაითვალოს კატეგორიაში და მიეკუთვნოს წინა კატეგორიას. ზედა ზღვარი მიეკუთვნოს კატეგორიას. მაგ. „1 000 ლარიდან 2 000 ლარის ჩათვლით“ კატეგორია მოიცავს პირს, რომელსაც აქვს 2 000 ლარი დასაბეგრი ხელფასი და არ მოიცავს პირს რომელსაც აქვს დასაბეგრი ხელფასი - 1 000 ლარის ოდენობით.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით.

პატივისცემით,

გიორგი ტყეშუჩავა

ა(ა)იპ საქართველოს რეფორმების ასოციაციის იურისტი

მისამართი:

თბილისი, კოსტავას ქ. № 75 გ.

საკონტაქტო პირი:

გიორგი ტყეშუჩავა



GRASS

FACTCHECK

მობ: 574 02 96 96

E-mail: giorgi.tkebuchava.4@iliauni.edu.ge